ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

დავიბადე 1979 წლის 13 მარტს, ქ. გალში. 2005 წელს დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2005-2006 წლებში ვმუშაობდი საქართველოს სამართალშემოქმედთა კავშირის ადვოკატად. 2006 წლის მარტიდან 2006 წლის ივლისამდე ვმუშაობდი დუშეთის რაიონული პროკურატურის პროკურორად. 2006 წლის ივლისიდან 2007 წლის ივნისამდე ვმუშაობდი მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად. 2007 წლის ივნისიდან 2007 წლის ნოემბრამდე სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის გამომძიებლად. საგამოძიებო ნაწილის უფროს
2007-2009 წლებში სენაკის რაიონულ პროკურატურაში, რაიონულ პროკურორად.
2009-2010 წლებში ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში, რაიონულ პროკურორად.
2010-2011 წლებში ვსწავლობდი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, იუსტიციის მსმენელად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 1 ნოემბრის #1/153 გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით, დავინიშნე ახალგორის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით, დავინიშნე მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით, დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2022 წლის 25 ივლისიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ. საქართველოს მოსამართლეტა კონფერენციის 2021 წლის 26 მაისის დადგენილებით არჩეული ვარ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად, 2021 წლის 24 ივნისიდან.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.